



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კვლევის განვითარების სტრატეგია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის #0121-01 დადგენილებით

2021

პრეამბულა:

შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში: უნივერსიტეტი) კვლევის განვითარების სტრატეგია ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, უნივერსიტეტის 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. აღნიშნული დოკუმენტით უნივერსიტეტი წარმოადგენს ხედვას დაწესებულებაში კვლევის განხორციელების, ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტის გამოწვევაა, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულება, ეროვნულ დონეზე, რომელიც შეძლებს შესთავაზოს სტუდენტებს სრულყოფილი, ინოვაციური და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისი განათლება.

მისია:

უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში, ხელი შეუწყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, რომელთაც უწყვეტი განათლების პრინციპებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების იდეის გაზიარებით შეეძლება საზოგადოების სამსახურში ყოფნა ადამიანის ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის, ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების დაცვისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღიარების გზით.

ღირებულებები:

- სტუდენტების პერსონალური და ინტელექტუალური განვითარება
- ცოდნის ძიება
- აკადემიური, პროფესიული და კვლევითი თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაცია
- ინკლუზიურობა და სამართლიანობა
- მრავალფეროვნება და საგანმანათლებლო შესაძლებლობები
- აკადემიური თავისუფლება
- ეთიკური პრინციპების დაცვა
- სოციალური პასუხისმგებლობა
- პასუხისმგებლიანი მართვა

ხედვა:

KWI უნივერსიტეტის ხედვაა, 2027 წელს წარმოადგენდეს საერთაშორისოდ აღიარებულ, ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში კონკურენტუნარიანი და საიმედო პარტნიორის რეპუტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჯანდაცვის სფეროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც მუდმივი განვითარება-სრულყოფის გზით ორიენტირებული იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე; კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე; საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაციასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებაზე სამეცნიერო, კულტურული, შემოქმედებითი და შემეცნებითი განვითარების გზით.

კვლევითი სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და აქტივობები

კვლევითი სტრატეგიის მიზანია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებული მიდგომები:

- კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი შიდა პროცედურები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება და მათი დაინტერესება კვლევით პროექტებში ჩასართავად;
- ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

2021-2027 წლებისთვის განსაზღვრული აქტივობები:

1. კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება
 - 1.1 კვლევების მხარდამჭერი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა და განვითარება
 - 1.1.1. საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბება;
 - 1.1.2. კვლევითი ცენტრის შექმნა;
 - 1.1.3. კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და განვითარება;

- 1.2 კვლევების განხორციელების მიზნით, სამედიცინო კვლევით ბაზებთან, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება პარტნიორობის ინიცირებისათვის.
 - 1.3 კვლევების ინტერნაციონალიზაცია:
 - 1.3.1 უცხოელი მკვლევრების მონაწილეობით, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება;
 - 1.3.2 აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში და ა.შ მონაწილეობის მხარდაჭერა, შრომების გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებისადმი მიკუთვნიებულ წყაროებში;
 - 1.4 შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების მოწყობა.
 - 1.5 საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის და კვლევების შიდა დაფინანსების მექანიზმის შემუშავება;
 - 1.6 აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა;
 - 1.6.1 ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვა და წახალისება
 - 1.6.2 ბიუჯეტში თანხების გამოყოფა კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების დასაფინანსებლად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებისადმი მიკუთვნიებულ წყაროებში მათი სამეცნიერო მნიშვნელობის შესაბამისად (მაგ, საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან, საქართველოში რეფერირებულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნება, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში საგრანტო პროექტის წარდგენა და სხვ);
 - 1.6.3 კვლევების ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვა: აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკისა და საკონკურსო პირობების გაცნობა, ტრენინგების ორგანიზება საგრანტო განაცხადების შესავსებად; საკონსულტაციო საქმიანობის გასაწევად დარგის აღიარებულ მეცნიერთა მოწვევა;
 - 1.7 სტუდენტების კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული კვლევითი კომპონენტის განხორციელებით.
- 2. სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და საერთაშორისო აკრედიტაციისთვის ზრუნვა**
- 2.1 სამაგისტრო პროგრამების შემუშავება ახალგაზრდა კადრების კვლევით საქმიანობაში მოზიდვისათვის, რაც გულისხმობს სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ჩართვას

უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში და მათი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას;

2.2 პარტნიორების მოძიება-მოზიდვა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების მიზნით;

2.3 სამაგისტრო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება.

3. პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ობიექტურ განხორციელებას აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურების და მექანიზმების შესახებ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით უნივერსიტეტი ცდილობს, დაამკვიდროს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები. პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელების მიზანია: მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვა და პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების კულტურის დამკვიდრება. აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფისათვის დაწესებული მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებზე.

4. უნივერსიტეტის არსებული კვლევითი პოტენციალის შეფასება და ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პროდუქტიულობის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან და საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურთან კოორდინაციით. შეფასება მოხდება სამეცნიერო პუბლიკაციების, სამეცნიერო კვლევით-პროექტებში მონაწილეობის, კონფერენციებსა, სიმპოზიუმებსა, კონგრესებსა და ა.შ. მონაწილეობის მიხედვით.

5. კვლევების ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვა

უნივერსიტეტი ზრუნავს ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდაზე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კვლევითი სემინარების, ვებინარების და ა.შ. შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, მეორე მხრივ, კი პერიოდულად გეგმავს შესაბამის

ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: „როგორ დაწეროთ სამეცნიერო კვლევითი პროექტი?“, „როგორ მოვიპოვოთ სამეცნიერო გრანტი?“, „როგორ ვმართოთ სამეცნიერო გრანტი?“ და სხვ.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების კონცეფცია

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებად განსაზღვრულია ორი ძირითადი მიმართულება:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- სამედიცინო განათლება

გარდა ამ პრიორიტეტებისა, უნივერსიტეტი იღებს გამოწვევას ქვეყანაში ფუნდამენტური და კლინიკური კვლევების ხელშეწყობის განვითარების მიზნით.

კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა არ წარმოადგენს შეზღუდვას სხვა სახის კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის. უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს (აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს) აქვს უფლება, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი სახის დახმარება უნივერსიტეტისგან (შესაძლებლობისა და საკვლევი თემის აქტუალობის გათვალისწინებით) იდეის განხორციელების თვალსაზრისით.

ერთობლივი კვლევითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი კვლევითი პრიორიტეტია სამედიცინო განათლება, რომლის კვლევითი მნიშვნელობა მსოფლიოში თანდათან უფრო იზრდება. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილება იძლევა ძალიან კარგ საფუძველს ამ მიმართულებით, ფართო და ამავე დროს, ღრმა კვლევების ჩასატარებლად.

მეორე კვლევითი პრიორიტეტია საზოგადოებრივი ჯანდაცვა, რომელიც აერთიანებს ინტერვენციების ფართო სპექტრს ფიზიკურ და სოციალურ გარემოში, ჯანმრთელობის

ჩვევებსა და ბიოსამედიცინო მეთოდებში, ასევე ჯანდაცვის ორგანიზაციას და ფინანსირებას. იგი აერთიანებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ტრადიციულ საკითხებს, როგორცაა - სანიტარია - გადამდები დაავადებების კონტროლი და ეპიდემიოლოგიური კვლევა - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა - არაინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიური კვლევა - კლინიკური სერვისები - ჯანდაცვის სისტემის მართვის საკითხები - ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა; ამასთანავე, მსოფლიოში გლობალურად მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების კვლევაში ჩართვა;

გარდა ამისა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობისას მნიშვნელოვანია კვლევა ბიოუსაფრთხოების მიმართულებით, მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, განხილვა და გამოყენება პრაქტიკაში.

აქტივობების აღწერა:

- საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბება სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის განვითარების დეპარტამენტთან, რომლის შემადგენლობაში უცხოელ კოლეგებთან ერთად შევლენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის, უპირველესად, აშშ-ში) მოღვაწე ქართველი მეცნიერები;
- კვლევის მიმართულებების მკაფიოდ განსაზღვრა (განსაკუთრებით, ფუნდამენტური და კლინიკური კვლევების მიმართულებით);
- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციებთან (მაგ. AMEE, AMSE), კვლევით ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებთან და სააგენტოებთან, სამედიცინო განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება;
- დაფინანსების წყაროების განსაზღვრა და მოზიდვა;
- სტუდენტების აქტიური ჩართვა ამ სახის კვლევებში საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე და მის მიღმა;
- კვლევაში უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ მიღებული შედეგების საერთაშორისო კონფერენციებსა, კონგრესებსა და ა.შ. მოხსენებების ხელშეწყობა, ასევე, პუბლიკაციების საერთაშორისო გამოცემებში დაბეჭდვის ხელშეწყობა;

- სამედიცინო განათლებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და ზრუნვა საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებისთვის;
- კვლევის ცენტრის ჩამოყალიბება.

ზემოხსენებული ორი ძირითადი მიმართულების გარდა კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად იმუშავებს ფუნდამენტური კვლევების განვითარების კუთხით. ამ მიზნით განვითარების სტრატეგია გულისხმობს:

- ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მოზიდვას;
- ფუნდამენტური კვლევის მიმართულების/ განსაზღვრას;
- სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებთან/ლაბორატორიებთან ხელშეკრულებების გაფორმებას და თანამშრომლობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- უნივერსიტეტის შიგნით შესაბამისი კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- სტუდენტების დაინტერესებაზე ზრუნვას და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას;
- ფინანსების მოზიდვას ქვეყანაში არსებული და მის ფარგლებს გარეთ არსებული რესურსებიდან (გრანტები, პროექტები, სხვ);
- სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას და საერთაშორისო აკრედიტაციაზე ზრუნვას;
- კვლევაში უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიურად ჩართვის უზრუნველყოფას;
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ მიღებული შედეგების საერთაშორისო კონფერენციებსა, კონგრესებსა და ა.შ. მოხსენებების ხელშეწყობა; ასევე, პუბლიკაციების საერთაშორისო გამოცემებში დაბეჭდვის ხელშეწყობას.

სამეცნიერო საქმიანობის ინიცირება, დაგეგმვა და მონიტორინგი

გარდა უნივერსიტეტში დადგენილი წესით საგრანტო კონკურსების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისა, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი იდეის ინიცირება შესაძლებელია ნებისმიერი აკადემიური პერსონალის (ან ჯგუფის) მიერ, რაც პროექტის სახით წარედგინება სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს, რომლის ხელშეწყობით ხდება პროექტის სრულყოფა; შემუშავებული პროექტი წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის

ექსპერტიზას დარგის ექსპერტების მიერ და ბიუჯეტის შეთანხმებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასრულებული პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. კვლევის განხორციელების პროცესში სასურველია სტუდენტების ჩართულობა.

სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტია აფილირებული და, შესაძლებელია, არააფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პერსონალი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი);

აფილირებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა, ჩაერთოს საკვლევი თემის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში; აღნიშნული არ ზღუდავს სხვა პერსონალს, ჩაერთოს აღნიშნული კვლევითი აქტივობების განხორციელებაში.

სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის განვითარების დეპარტამენტი პასუხისმგებელია კვლევითი პროექტით დაგეგმილი სამუშაოების მიმდინარეობაზე. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი მკვლევარი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე, მის მიზნობრიობაზე, ეფექტიანობაზე; დაფინანსების შემთხვევაში - ფინანსური რესურსის ეკონომიურ განაწილებაზე.

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს **სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის განვითარების დეპარტამენტი** აჯამებს განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას და დასახული გეგმის განხორციელების შედეგების თაობაზე ერთიან ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი

შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემაჯამებელ შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე შემუშავებული წესით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან და საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურთან კოორდინაციით, მისი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (**P** (plan) - დაგეგმვა; **D** (do) განხორციელება; **C** (check) - შემოწმება; **A** (act) - რეაგირება), განსაზღვრავს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესამოწმებელ ასპექტებს, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, ამოწმებს

ან/და ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, ამუშავებს და აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძლიერ და განსავითარებელ მხარეებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, გარდა ამისა, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.

დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავს ერთი წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოს უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების (უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, კვლევის განვითარების სტრატეგია, წინამდებარე დოკუმენტი და სხვ) მიხედვით. მიღებული გადაწყვეტილებები აისახება ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

განხორციელება. განხორციელების ეტაპს წინ უძღვის მოსამზადებელი ეტაპი, რომლის დროსაც ხდება შემოწმების საფეხურების თანმიმდევრობის განსაზღვრა, შესამოწმებელი ობიექტის განსაზღვრა; შეფასების კრიტერიუმების შემუშავება; შეფასების პროცედურის, შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება, შემფასებლ(ებ)ის ჯგუფის შექმნა მისი პოტენციური წევრების შესაბამისი კომპეტენციების განსაზღვრის საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურების მონაწილეობით.

- შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობების შესახებ;
- შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვას კვლევით საქმიანობაში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- ამოწმებს აკადემიური პერსონალის ჩართულობას კვლევით საქმიანობაში;
- ამოწმებს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხარისხს;
- შეისწავლის ახალგაზრდა კადრების ჩართულობას (მათ შორის, სტუდენტების ჩართულობას) კვლევით პროექტებში;
- შეისწავლის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების სტატისტიკას.

შემოწმება. ამ ეტაპის მთავარი მიზანია არსებული შესამოწმებელი საქმიანობის შესაბამისობის დადგენა კონკრეტულ სფეროში მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სარეგულაციო

მექანიზმებთან/დოკუმენტებთან. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისი გარემოს შექმნა;
2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;
3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ კვლევის იდეის, დაგეგმვის, განხორციელების ეტაპებზე უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მხარდაჭერა;
4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვლევითი პრიორიტეტებისა და პერსონალის ინტერესების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა, გადამზადების კურსების შეთავაზება, სხვ.
5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების ხარისხის შეფასება შემუშავებული კითხვარების საშუალებით;
6. შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსების ორგანიზების მაჩვენებლები;
7. საგრანტოდ წარდგენილი პროექტების რაოდენობა და აქტუალობა;
8. კვლევის პროცესში კვლევის ცენტრის მხარდაჭერის შეფასება ინფორმაციის მოძიების, ტრენინგების ჩატარების, პოტენციურ პარტნიორთა (მათ შორის, უცხოურის) მოძიების და ა.შ. თვალსაზრისით;
9. მკვლევართა წახალისების მექანიზმის არსებობა

შეფასების შედეგებზე რეაგირება

აღნიშნულ ეტაპზე ხდება შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შიდა შეფასება მიმართულია ერთის მხრივ, ძლიერი მხარეების გამოსავლენად, მათ განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად, მეორეს მხრივ კი - სუსტი მხარეების გამოსავლენად და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ემსახურება უნივერსიტეტში კვლევის ხარისხის გაუმჯობესება-განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მის მიერ შემუშავებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს ფაკულტეტის/აკადემიურ საბჭოს წერილობითი და ზეპირი

ფორმით. განახლებული დოკუმენტი დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისათვის წარედგინება (გადაეგზავნება) სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურსა და სხვა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს.

